საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/44 "2" ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ა. ესოიანისათვის ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

2022 წლის 29 მაისს რამდენიმე სასამართლოს თავჯდომარეს, მათ შორის, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, ამოეწურა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თავმჯდომარეთა დანიშვნის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებთან.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, რის გამოც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის საფუძველზე თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლის არარატ ესოიანისათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, არარატ ესოიანს დაეკისროს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 3 ივნისიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე